



# უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაში

№7 (50) 2015

## სტიქია თბილისში – აღდგენა ვერა თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორია დაანბრია



თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია ერთ-ერთია იმ შენობებიდან, რომლის 13 ივნისს დაიბორკა და პრაქტიკულად მთლიანად დაინგრა. ლაბორატორია, რომელთანაც ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი ისტორიაა დაკავშირებული, დღეს პრაქტიკულად თავიდან იშენებლობას საჭიროებს. სტატიასთან ერთად ჩვენ წარმოგიჩვენო შოტოებს, რომლებიც სტიქიაზე და სტიქიის შემდეგ არის გადაღებული.

გაგრძელება გვ-2 გვ.

## თსუ თანამშრომლები – 13 ივნისის სტიქიის წინა ხაზზე

13 ივნისის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე თანამშრომლის სახელი ბეგრმა გაიგო და დაიშალა. უნივერსიტეტის ამ რამდენიმე თანამშრომლის წყალობით არა ერთი სიცოცხლის გადაარჩენა მოხერხდა. თითოეული მათგანი დღეს ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს საქმიანობას და 13 ივნისის სტიქიის დროს გამოვლენილ გმირობას მოკრძალებულად აფასებს.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ლექტორი ლევან ჯანაშია პრესასთან საუბრისას იხსენებს, რომ სტიქიის გმირთა მოედნის მიმდებარე გერიატორიაზე შეესწრო, კოსტავას ქუჩაზე მიმავალს, გლევივიასთან მანქანას საბურავი დაეშვა. საბურავის შესაცვლელად "ლაგუნასთან" 24-საათიანი ვულკანიზაციასთან გაჩერდა, როდესაც ჩამოვლილმა პატრულმა მოთაბრკიდან გამოქეცილი ცხოვე-

ლების შესახებ გააფრთხილა. წყლის ნაკადისა და მგაცემლისგან თავის ასარიდებლად, ხალხი იქვე მდებარე შენობაში შევიდა. რამდენიმე წუთში მოვარდნილმა წყლის ნაკადმა შენობა მოხსნა და ამოაგრიალა, კარი სახურავის ადგილას აღმოჩნდა. ლევანმა ამოყენივთა შესძლო და შემდეგ ხელისნის გადასარჩენად ჩაყვინთა, რომელიც ამოსვლას ვერ ახერხებდა და მასთან ერთად ახლოს მდგომ ჯახურის სახურავზე გა-

გაგრძელება გვ-2 გვ.

## თსუ მეცნიერის წარმატება



თსუ მეცნიერი ნინო ქოქიაშვილი ფულბრაიტის 2015-16 წლის სამეცნიერო საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული გახდა. გამარჯვებისკენ საჯარო გზაზე მას სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაო ვიზიტი დაეხმარა.

ქიმიის დოქტორი, თსუ ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ქოქიაშვილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ დაფინანსებული უმაღლესი განათლების პროგრამის „სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ – ახალი საბაკალავრო პროგრამის დაწყებისთან დაკავშირებით 2014 წლის მაგისტრის თსუ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით მივლინებული იყო სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ), სადაც უშუალოდ იყო ჩართული ქიმიის-ბიოქიმიის პროგრამის კურსკურსის დამუ-

გაგრძელება გვ-4 გვ.

## საკვილობე პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“

2015 წლის აპრილში თსუ ლექტორებისა და დოქტორანტების მონაწილეობით საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“ დაიწყო. პროგრამა პრეზიდენტის ფონდმა დაფინანსა და დღეს მისი მონაწილეები უკვე შედეგებს აჯამებენ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ქართული ენის დაჩქარებული სწავლების საპილოტე პროგრამის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში ახორციელებ-

ბენ. დამატებით ერთი საპილოტე პუნქტი გახსნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. პროექტი სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილისთვისაა განკუთვნილი, ვისაც ქართული ენის დაჩქარებულად შესწავლა სურს, მაგრამ საქართველოში დღეისთვის ამ მიმართულებით არსებული პროგრამები მათთვის არ არის გათვალისწინებული ან გერიატორიულად მიუწვდომელია. დღეს საქართველოში მოქმედებს ქართული ენის შესწავლის შემდეგი პროგრამები: მოსწავლეთათვის ქართული ენის სწავლება საჯარო სკოლებში, საჯარო მოხელეთათვის ქართული ენის სპეციალური კურსები რაიონულ ცენტრებში განთავსებულ „ქართულ სახლებში“ და ა.შ. თუმცა, ისინი ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებენ.

სწორედ ამიტომ განიზრახეს პროექტის ხელმძღვანელებმა თსუ-ს წარმომადგენლებმა ნინო ჯორბენაძემ და პროფესორმა ეკატერინე კობახიძემ ამ პროგრამის განხორციელება.

ნინო ჯორბენაძე პროექტის შექმნის მიზმს ასე ხსნის: 2014 წლის 25 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა და მასწავლებლებმა საგანგებო განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტს. განცხადებაში აღნიშნულია: „სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს და გაცვიფროს ფართო მასშტაბით გააგრძელოს ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის

გაგრძელება გვ-4 გვ.

## თსუ საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია



SECOND PLACE AWARD  
CENTER OF OUTSTANDING RESEARCH

The Editorial Board of the International Academy of Business and Economics recognizes Ivane Javakishvili, Tbilisi State University, Tbilisi, Georgia as a center of outstanding research. The research published on behalf of Ivane Javakishvili, Tbilisi State University, Tbilisi, Georgia for the 2015 IABE Rome conference is of the highest quality and demonstrates a commitment to the advancement of the fields of business and economics.

Professor Marius Gavriltea, Ph.D.  
Vice President of the IABE

გვ. 4

## პირველი რუსკუბლიკის ღარბაგი თსუ-ში



გვ. 4

## თსუ-ში საუნივერსიტეტო წიგნის ბანახლეპული პალატი ბაიხსნა



გვ. 3

# სტიქია თბილისში – აღიზაურება ვერაემ თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორია ღაანბრია

პირველი გვერდიდან

## თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორია...



### სტიქიამდე

იგი ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია 1962 წლიდან ფუნქციონირებდა. იგი გერმანული ფაკულტეტის ბიუროს მიმდებარეობდა, მდ. ვერეს ხეობაში, მის სანაპიროზე მდებარეობდა და 0,6 ჰა-ზე ფართობი ეკავა.

ლაბორატორიის დაარსების ძირითადი მიზეზი 1960 წელს მდინარე ვერეს კატასტროფული წყალმოვარდნა იყო, რომლის შედეგადაც დიდიზღვრა მოთპარკი და მდინარე ვერეს ჭაღანში მდებარე საცხოვრებელი სახლები. აუცილებელი გახდა მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმის დეტალური შესწავლის აუცილებლობა, უწყვეტი მონიტორინგის რეჟიმში და ამ პროცესის მეცნიერულ ღონებზე ორგანიზაცია წარმოადგენდა.

ლაბორატორია ღლიდან დაარსებისა ჩართული იყო ფაკულტეტის სასწავლო პროცესში და აქ ყოველ სემესტრში ასეულობით სტუდენტის ინტენსიურად გარდება ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები. ლაბორატორიაში, ბაზუხის პერიოდში, სასწავლო-საეცვლე პრაქტიკებს გადიოდნენ როგორც თსუ-ს, ასევე სხვა

უმალესი სასწავლებლების (გექნიკური, აგრარული და სოხუმის უნივერსიტეტები) სტუდენტები. გარდა ამისა, აქ გრენინგებს გადიოდნენ სამულო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებიც.

ლაბორატორიის გერმანიაზე მდებარეობდა ორი კორპუსი, სადაც განლაგებული იყო აუდიტორიები და სამუშაო ოთახები, ასევე ბიბლიოთეკა, ორი მეტეოლოგიური, წყალსაბოში საგუშაგო დაკიდული ჰიდრომეტეოლოგიური ხილი, მდინარის ღონების თვითმწერი დანადგარი. ლაბორატორიაში წარმოებდა მდ. ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლა და დაკვირვებები. კერძოდ, ყოველდღიური დაკვირვებები მდ. ვერეს წყლის ღონებზე, გემპერაგურაზე და ხდებოდა წყლის ხარჯების გაზომვები. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიაში მოპოვებული მასალებით სარგებლობდა საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო. ქუჩას, სადაც მდებარეობდა ლაბორატორია, მინიჭებული აქვს მისი ერთ-ერთი დამაარსებლის აკადემიკოს გივი სვანიძის სახელი, ხლო ლაბორატორიაში არსებულ აუდიტორიას კი – პროფესორ ნოე უკლებას სახელი.

აღნიშნული ლაბორატორია თავისი ფუნქციური ღანიშნულებით მეგად მნიშვნელოვანი

იყო თსუ-სთვის. აქ მოპოვებული მასალები კი ძალზე აქტუალურია თბილისის მიდამოების თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად. განსაკუთრებით თუ გათვალისწინებთ, რომ ის ერთ-ერთი იყო საქართველოში შემორჩენილ მცირე რაოდენობის სადგურებს შორის.

ლაბორატორია მაღალ ღონებზე შეაფასეს უცხოელმა ექსპერტებმა და შეთანხმების შედეგად გადაწყდა მისი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაში "წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა" სასწავლო-საბაზო ცენტრად გამოყენება.

16 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლებმა და აღმინსტრაციის წარმომადგენლებმა 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად განადგურებული თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გერმანია დათვალაღერეს.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „სამწუხაროდ, თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ერთი შენობა მთლიანად დაზარალდა, მეორე შენობა დაზიანებულია. ეს ლაბორატორია საჭიროა ქვეყნისთვის. ჩვენი საუკეთესო უმოკლეს დღეებში დადებენ კონკრეტულ რეკონსტრუქციებს, თუ რა არის გასაკუთრებული იმისთვის, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი კატასტროფა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ლაბორატორია აღდგეს და ამ საქმეში, მთავრობის დახმარების იმედი გვაქვს.“

„ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია, სამწუხაროდ, ძალიან დაზიანდა. განადგურდა და დაზიანდა ლაბორატორიის აპარატურა, ხელსაწყო-იარაღები, სახელმძღვანელოები. ლაბორატორიაში გარდა სამეცნიერო კვლევებისა, ინტენსიური სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. მხოლოდ განაშენიანების სემესტრში თსუ მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 500-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა ლაბორატორიაში სალექციო და პრაქტიკული კურსები“, – აღნიშნა თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, გეოგრაფიის დოქტორმა მერაბ ალავერდიაშვილმა.



### სტიქიის შემდეგ

## თსუ თანამშრომლები – 13 ივნისის სტიქიის წინა ხაზზე

პირველი გვერდიდან

მაგრდა... ერთ-ერთი პირველი, ვინც მოახლოებული საფრთხის შესახებ სვანიძის ქუჩის მაცხოვრებლები გააფრთხილა, თსუ დაცვისა და უსფრთხოების თანამშრომელი ღაშა იობაშვილი იყო. იგი თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გერმანიაზე სამსახურებრივი მდგომარეობის შესრულებისას იმყოფებოდა.

როგორც თავად ამბობს, 13 ივნისამდე ერთი კვირით ადრე უხვი ნალექის მიზეზით ლაბორატორიის მოცივით ადგილას გარკვეული პრობლემები შეიქმნა, რის გამოც წვიმის დაწყების შემდეგ იგი კიდევ უფრო ყურადღებით იყო. წყლის ღონის მნიშვნელოვან მაგებას ხეების მცვერვის ხმაზე რომ დაერთო, შენობიდან



ღაშა იობაშვილი



უჩა რამზაძე



ღაშა იობაშვილი

გარეთ გამოვიდა, მართვის ცენტრს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შეატყობინა და ადგილობრივი მოსახლეობის გაღვიძება დაიწყო. იბახდა და, ამავ დროს, მანქანის სივრცით აღვიძებდა ხალხს. შემდეგ მათ მანქანის ფარებით უნათებდა ჩაბნელებულ გზას. ადგილზე დასახმარებლად მისულ კოლეგებსა და ადგილობრივებთან ერთად ის ხალხი გამოპყავდა, ვინც საკუთარი ძალებით გამოსვლას ვერ ახერხებდა – ქალები, ბავშვები, ცხოველები.

ერთ-ერთი პირველი, ვინც კოლეგის დასახმარებლად მივიდა, უჩა რამზაძე იყო. მან სწორედ წინა დამეს გადააბარა ცვლა. უჩას სახლიდან სამსახურში ოპერატიულად მისვლა არ გასჭირვებია. როგორც

# ოსუ თანამშრომლები – 13 ივნისის სტიქიის წინა ხაზზე

მეორე გვერდიდან



ივანე მურუშვილი



გიორგი გორბაშვილი



მამა ედიშერაშვილი

თავად ამბობს, უნივერსიტეტის ერთი ობიექტიდან მეორეზე ოპერატიულად გადაადგილების, კონკრეტულ ობიექტზე მისვლის პრაქტიკა მათ ვერ კიდევ განგაშის იმიტაციის სახით ჩატარებული სწავლებებისას მიიღეს.

„ჩვენთვის, ლამაზთვის იმ ქუჩის მაცხოვრებლებს უფრო ადრე რომ დაეჯერებინათ, ნამდვილად უფრო უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდნენ და ქონების გადარჩენასაც უფრო შეძლებდნენ“. – დარწმუნებულია ივანე მურუშვილი, რომელიც საბჭოთა-საქართველოს საზღვარგარეთის უნივერსიტეტის მისამართის უფროსი და მისივე ოფისის მენეჯერი იყო.

როგორც უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის უფროსი გიორგი გორბაშვილი ამბობს, იმ დამეს თვითონ და დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული ჯგუფი თბილისის მასშტაბით უნივერსიტეტის კუთვნილ სხვადასხვა ობიექტებზე იმყოფებოდნენ. შემოდიოდა ოპერატიული ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ, რის მოგვარებამაც კოორდინირებულად მუშაობდა მთელი სამსახური – უფროსიდან რიგითი თანამშრომლით დამთავრებული. მაგალითად, მოდიოდა ინფორმაცია მაღალი მაგნიტუდის ენერჯების ინსტიტუტში შევარდნილი წყლის, ხალხის ევაკუაციის საჭიროების, მაღლივ კორპუსში არსებული დამინებების,

მოკლე ჩართვის შედეგად ხანძრის გაჩენის ალბათობის შესახებ და ა.შ.

გიორგი გორბაშვილი განმარტავს, რომ „ოსუ უსაფრთხოების სისტემა ისეა გამართული, რომ ადგილებზე მყოფ მცველებს მოღონების საშუალებას არ აძლევს, რადგან ისინი ყოველ ნახევარ საათში გამოდიან კავშირზე არსებული ვითარების მოსახსენებლად.

13 ივნისის დამეს თბილისის სხვადასხვა უბანზე მდებარე უნივერსიტეტის ობიექტებზე 50-ზე მეტი დაცვის თანამშრომელი მუშაობდა. ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც, დაცვის სამსახურის უფროსის შეფასებით, იმ დამეს მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, ოსუ პირველ კორპუსში მყოფი დაცვის სამსახურის თანამშრომელი მამა ედიშერაშვილი იყო. ედიშერაშვილი პაკათონზე მისული 600 სტუდენტის „მეურვე“ აღმოჩნდა. მას და მასთან მობრუნებულ დაცვის სამსახურის ხელმძღვანელებს საკმაო ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის გარეთ გასვლა გადაეფიქრებინათ. უშუქოდ დარჩენილი სტუდენტებიდან ბევრი არც უნივერსიტეტის მიმდებარე გერიგორიაზე მგაცხელი ცხოველების ყოფნას იჯერებდა და არც წყალს უფრთხობდა. სტუდენტები, საბოლოოდ, უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლების ძალისხმევით, პირველი კორპუსის მეორე სართულზე შეგროვდნენ, სადაც დაახლოებით დღის 6 საათამდე დარჩნენ.

ოსუ თანამშრომელთა და სტუდენტთა საქმიანობას 13 აგვისტოს სტიქიის დროს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა ოსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპაია:

„13 ივნისის დაგრიანებულმა გრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. ქვეყანამ უდიდესი მორალური და მაგერიალური მარალი განიცადა. უბედურებამ მთელი საქართველო ერთ მუშგად შეკრა. მოქალაქეთა მიერ ბოლო დღეებში გამოვლენილი თანაგრძობა და თანადგობა იმედი ვეაქვს. იმ იმედით, რომ ასეთი მოქალაქეობრივი პოზიციით ჩვენ ნებისმიერ სირთულეს გადავლახავთ.

საქვეყნო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, ჩვენი დროის გმირებს - ლამაზი იონაშვილი, ივანე მურუშვილი და შარა რამბაძეს, იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორს ლევან ჯანაშიას, რომლებმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სტუდენტებს, მოხალისეებს, რომლებმაც გამოავლინეს მოქალაქეობრივი პოზიციისა და შეუპოვრად მონაწილეობით მინარე ვერეს ხეობის გაწმენდით სამუშაოებში. გმადლობთ! სწორედ, ასეთი ადამიანების მხრებზე დგას სახელმწიფო!“ – ნათქვამია ოსუ რექტორის მიმართულებით.

# უნივერსიტეტი ალექსანდრე რონდელს დაემშვიდობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ალექსანდრე რონდელი ბოლო გზაზე გააცილა. სამოქალაქო პანაშვილი გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ოსუ პირველ კორპუსში. მის ხსოვნას პატივი მიუგეს ოსუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა წრეებმა, სტუდენტებმა, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

ალექსანდრე რონდელი იყო გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი. 1991-1996 წლებში იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგე და სიცოცხლის ბოლომდე ოსუ უნივერსიტეტის სტუდენტებს უმბარებდა იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში და პრაქტიკული მოღვაწეობის წლების მანძილზე დააგროვა.

ალექსანდრე რონდელი 1997-2001 წლებში – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის დირექტორი იყო. 1976-1977 წლებში მან სტაჟირება გაიარა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, ხოლო 1993-1994 წლებში – ვუდრო ვილსონის სახელობის საზოგადოებრივ და საერთაშორისო საქმეთა სკოლაში (პრინსტონის უნივერსიტეტი, აშშ). 1991 წელს ალექსანდრე რონდელი იყო მოწვეული პროფესორი ემორის უნივერსიტეტში (აშშ), 1995 წელს – მუხთ პოლიოკ კოლეჯში (აშშ), 1992, 1995 და 1997 წლებში – უილიამს კოლეჯში.

მეცნიერთან და მასწავლებელთან გამომშვიდობების საშუალება მის სტუდენტებსა და კოლეგებს 16 ივნისს ოსუ-ს პირველ კორპუსში მიეცათ.



# საქველმოქმედო კონცერტი ოსუ-ში



23 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მებო ნუცუბიძის საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტის ორგანიზატორია ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს თბილისის ციფრული ფრანკოფონული კამპუსი. შემოსული თანხა გადარიცხება სტიქიით დაზარალებულთა ანგარიშზე.

# ოსუ-ში საუნივერსიტეტო წიგნის ბანახლეული მაღაზია გაიხსნა



8 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო წიგნის ბანახლეული მაღაზია გაიხსნა. გახსნასთან დაკავშირებით, მაღაზიამ მყიდველს ოსუ გამოცემლობის წიგნებზე წარმოუდგინა ფასდაკლება შესთავაზა. 8 და 9 ივნისს ყველა წიგნზე მოქმედებდა 20-დან 50 პროცენტამდე ფასდაკლება. მყიდველს შესაძლებლობა ჰქონდა დარეგისტრირებულიყო წიგნის მაღაზიის მეგობართა კლუბში - სკრიპტორიუმში, რაც მთელი წლის განმავლობაში სპეციალური შემთავაზებებით სარგებლობის, ფასდაკლების, სასაჩუქრე აქციებისა და სხვა საინტერესო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა.

# სტიქიას ოსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სტუდენტები მარიამ ქუთელია და ივლიტა ჯიბუბი შეეწირნენ



თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად ოსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)



ორი სტუდენტი მარიამ ქუთელია და ივლიტა ჯიბუბი გარდაიცვალა. მარიამ ქუთელია ივლიტა ჯიბუბთან ერთად

თად მდინარე ვერემ მამინ გაიგაცა, როცა ჯიბუბის მეუღლე გოგონების გადარჩენას უშედეგოდ ცდილობდა. მარიამი მის მეგობართან ივლიტა ჯიბუბთან და მის მეუღლესთან სტუმრად იმყოფებოდა. ისინი იმ სახლში ცხოვრობდნენ, რომელიც მდინარე ვერემ გაიგაცა. წყალდიდობის დაწყების შემდეგ თავის გადარჩენის მიზნით სამივენი სახურავზე ავიდნენ, მაგრამ მდინარემ ორივე გოგონა ჩაითარა. მამულებმა მხოლოდ მამაკაცის გამოყვანა მოახერხეს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწუხარებას გამოთქვამს ამ დიდი გრაგედის გამო და უსამძიმრებს მათ ოჯახებს, მეგობრებს, მთელ საქართველოს.

# ოსუ-მ სტიქიის შედეგებთან საბრძოლველად სპეციალური ანგარიში გახსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად გარდაცვლილთა და დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად, აგრეთვე, ოსუ პიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის აღსადგენად სპეციალური ანგარიში გახსნა. სპეციალური ანგარიშზე ოსუ პროფესორებს, სტუდენტებს, თანამშრომლებს, გარე იურიდიულ პირებს, გარე

ფიზიკურ პირებს და ნებისმიერ მსურველს შეუძლია თანხის ჩარიცხვა ლარებში (მიზნობრიობის მითითებით – სტიქიური უბედურების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებისთვის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა ოჯახებისთვის ან ოსუ პიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის აღსადგენად). (სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში/სა-

ხაზინო კოდი 708967509, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო კოდი 204864548). ოსუ აკადემიურ პერსონალი, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დამხმარე პერსონალი ხელფასიდან თანხის ჩამოჭრის სურვილის შემთხვევაში სპეციალური ანგარიშის ფორმას შეავსებენ და წარადგენენ ოსუ კანცელარიაში.

# თსუ საერთაშორისო ჩილის გეოგრაფიული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო დონეზე უდიდეს წარმატებას მიაღწია – ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიამ (IABE) ნომინაციაში „გამორჩეული კვლევის ცენტრის“ ჯილდო მეთრე ადგილი თსუ-ს მიანიჭა. ჯილდო სამ გამარჯვებულს გადაეცა – პირველ ადგილზე ითხანეს კეპლერის უნივერსიტეტი (ლინცი, ავსტრია), მესამე ადგილზე კი აშშ-ის ფროსტურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის შეფასებით, 2015 წლის რომის კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული კვლევა გამოირჩევა მაღალი ხარისხით და გამოხატავს სწრაფვას ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროს განვითარებისთვის.

საერთაშორისო აკადემია (IABE) აკადემიურ მკვლევართა, ბიზნესის მენეჯერთა, სტუდენტებისა და ბიზნესში საჯარო პოლიტიკის წარმმართველთა გლობალური ორგანიზაციაა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერთა, იდეების, კვლევებისა და სწავლების მეთოდების, მართვის საუკეთესო პრაქტიკის გამოცდების ხალხების კონკურენტუნარიანობის ასაძლიერებლად. ამ მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია აგარებს კონფერენციებს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან. ორგანიზაცია გამოსცემს რეგულარულად ჟურნალებს.

## პირველი რესპუბლიკის ღარბაში თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი რესპუბლიკის აუდიტორია საზეიმოდ გახსნის. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ელადიშვილი პაპაია, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართველი ემიგრანტები, თსუ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

თსუ რექტორის ელადიშვილი პაპაიას განცხადებით, „დღეს გრძელდება გუმბათის დღესასწაული - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ორი მოვლენა - უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სიმბოლურად ერთ წელს მოხდა. უნივერსიტეტის დამფუძნებლების დიდი ნაწილი იმდროინდელი მთავრობის წევრებიც იყვნენ. მთავრობის მხრიდანაც უნივერსიტეტს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა შთამომავლები ესწრებიან ამ ღონისძიებას. ეს ჩვენთვის დიდი პატივია.“

„მიხარია, რომ ჩემი შობლიურ უნივერსიტეტში ვიმყოფები. სიმბოლურია, რომ პირველი რესპუბლიკის აუდიტორიის გახსნა დღევანდელი პირველი დიასპორული პროფესორული ფორუმს „გაუმთავრებელი გამოცდილება სამშობლოს.“ განსაკუთრებით მივესალმები პირველი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შთამომავლებს.“ - აღნიშნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ.

„მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტში ვესწრებით პირველი რესპუბლიკის აუდიტორიის გახსნას. მაღლობა სტუდენტებს ამ ინიციატივისთვის. სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტში პატივისცემით იხსენებენ პირველი რესპუბლიკის დამაარსებლებს, აფასებენ სამშობლოს წინაშე გაწეულ დედას.“ - განაცხადა ნოე ჟორდანიას შთამომავალმა, ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტმა ქრისტინე ფაღავამ.

„ჩემი ორგანიზაცია „გაუმარჯოს საქართველოს“ არის ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია საფრანგეთში. ჩვენ ვეპაქს უამრავი ორიგინალური დოკუმენტური მასალა, რომელიც ეხება საქართველოს იგივე რესპუბლიკის მთავრობას და ამ მასალის საფუძველზე ვაპირებთ, რომ გამოვკეთოთ სამი წიგნი. საიამოვნებოთ ვითანამშრომლებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თსუ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან და ამ სახელმძღვანელოებს შედგენა და გამოცემა იქნება ერთობლივი ნაშრომები.“ - აღნიშნა ნოე რამიშვილის შთამომავალმა გიორგი ბერიშვილმა.

თსუ-ში პირველი რესპუბლიკის აუდიტორიის გახსნის ინიციატივით სტუდენტები გამოვიდნენ. სტუდენტების წინადადება განიხილა საუნივერსიტეტო კომისიამ და გადაწყვეტილება თსუ რექტორის ბრძანებით დამტკიცდა.

თბილისის უნივერსიტეტის გახსნა (ძვ.წ. 1918 წ. 26 იანვარი) წინ უსწრებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1918 წ. 26 მაისი). თავდაპირველად უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა როგორც კერძო უნივერსიტეტი. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნიდან რამდენიმე თვეში (1918 წლის 3 სექტემბერს) უნივერსიტეტი გადარბილდა სახელმწიფო უნივერსიტეტად. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება განსაკუთრებით უწყობდა ხელს უნივერსიტეტის განვითარებას. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით უნივერსიტეტის დამფუძნებლებს, პროფესორ-მასწავლებლებს. განუზომელია უნივერსიტეტისთვის თავი გაწირვა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

# საკილობე პროგრამა „მისწავლოთ ქართული“

პირველი გვერდი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავის მხრივ, გამოხატავს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს როგორც ამ პროგრამის განხორციელებაში, ასევე ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმტკიცების საქმეში.“

როგორც პროექტის ხელმძღვანელი ამბობს: „მართლაც, თანამედროვე საქართველოში დღესდღეობით მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ერთგული უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია საზოგადოებაში და ქვეყანაში, რომლის წევრებიც და მოქალაქეებიც ისინი არიან. როგორც წესი, ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას ერთგული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ამის ძირითად მიზეზს ერთგული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნა წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში ამ მიმართულებით გარკვეული პოზიტიური დინამიკა შეინიშნება, მოქმედებს ერთგული უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლების რამდენიმე პროგრამა, მაგრამ ამ პროგრამების სამიზნეჯგუფებს მიღმა ბევრი ადამიანი აღმოჩნდა.“

პროექტი დასაფინანსებლად წარედგინა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, რომელმაც სრულად უზრუნველყო პროექტის განხორციელების ფინანსური მხარე. პროექტის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაბმული საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეთნიკური უმცირესობების საკითხში ქალბატონი სოფიო შამანიძე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის განხორციელებას გააკეთებულ ხასიათებლებს უსასყიდლოდ დაუთმო სკოლის შენობები.

პროექტის განხორციელების ვადა 4 თვეა, აქედან, მარტის თვე მოსამზადებელ

პერიოდს დაეთმო (მსმენელთა მოძიება-დარეგისტრირება, სასწავლო პუნქტების შერჩევა, სწავლების განრიგის შედგენა და სხვა...), ხოლო უშუალოდ სწავლება 3 თვის განმავლობაში (აპრილი, მაისი, ივნისი) მიმდინარეობს და სწავლება ითვალისწინებს 3-თვიან დაქვარებულ კურსს. სპეციალურად პროგრამისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო - ქართული ენის დაქვარებული კურსი (ავტორი - თსუ ასოც. პროფესორი კახა გაბუნია). სახელმძღვანელო ორი სახისაა - ერთი სომხურენოვანი მოსახლეობისათვის (სომხური ლექსიკონითურთ), ხოლო მეორე - ამერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის (შესაბამისად - ამერბაიჯანული ლექსიკონითურთ).

პროექტით გათვალისწინებული სწავლებისათვის შეიქმნა თსუ პროფესორ-მასწავლებლები, ასევე თსუ დოქტორანტები, რომელთაც უშუალოდ ერთგული უმცირესობების წარმომადგენლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ესენი არიან: ქაჯაია შორენა, ხეცურიანი ლაშა, კარგოზია ხათუნა, ჭანიშვილი ნინო, გუგუაძე კლარა, ქაჯაია მანანა, ბრეგვაძე რუსუდანი, ნახჩავაშვილი დალი, ბაკაშვილი თამარი, გუფრინაშვილი ქეთევანი, ბაღაშვილი მურაბი, მეშინიშვილი ნინო, გულუბანი ცინიო, უგულავა გიორგი, არემიძე მია, პეგრიაშვილი ქეთევანი, მაღალიანი მარიამი.

პროექტის განხორციელება მიმდინარეობს ქვემო ქართლის 4 მუნიციპალიტეტის (მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისისა და დმანისის) სოფლებსა და სამცხე-ჯავახეთის ერთ მუნიციპალურ ცენტრში (ნინოწმინდა). სულ გახსნილია 21 პუნქტი (ნინოწმინდასა და ქვემო ქართლის სოფლების რაიონების მიხედვით). აქედან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გარდა სომხურენოვანი მოსახლე-

ობაა ქვემო ქართლის სოფლებიდან ორშიც - შუშიანსა და ბოლნისში. დანარჩენი მსმენელები ამერბაიჯანული არიან.

პროექტის ხელმძღვანელის თქმით: „მოსახლეობის მხრიდან პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ასევე დიდად სწავლის მსურველთა რაოდენობაც. მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მსმენელთა შორის არიან როგორც ორივე სქესის, ისე თითქმის ყველა ასაკის (საშუალოდ 12-დან 70 წლამდე) და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც განსაკუთრებული სიბეჯითითა და სერიალუზობით ეკიდებიან სწავლის პროცესს.“

ივნისის ბოლოს ჩატარდება გესგირება, რის შედეგადაც გამოვლინდება წარმატებული მსმენელები. მათ ამის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ. დაგეგმილია რამდენიმე განსაკუთრებული წარმატების მქონე მსმენელის (სავარაუდოდ, თითო სოფლიდან ორ-ორის) საშემო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან.

იგეგმება პროექტის გაგრძელებაც (სწავლების პერიოდი - სექტემბრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით). სავარაუდოდ, პროექტის ამ ეტაპზე რეგიონებიდან პროგრამის შემოქმედება - კახეთის რეგიონის სოფლები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კიდე უფრო მეტი მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები. ქვემო ქართლის რეგიონიდან აღნიშნული 4 მუნიციპალიტეტის (მარნეული, დმანისი, ბოლნისი, გარდაბანი) გარდა პროექტში მონაწილეობის მზაობა უკვე გამოთქვას წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

# თსუ მისწავლოთ ქართული

პირველი გვერდი

შავების, სწავლება-შეფასების სისტემების განხილვასა და ამერიკული აკრედიტაციის ქართულ სტანდარტებთან შედარების პროცესში. შეხვედრები ჰქონდა ქიმიის დეპარტამენტში მომუშავე მკვლევარებთან პროფ. ვილიამ გონგის ხელმძღვანელობით.

სწორედ აქ გაჩნდა ახალი პროექტის იდეა. მეცნიერი ასე იხსენებს ამ ისტორიას:

„დაეინტერესდი პროფ. შარისონის სა-მეცნიერო კვლევით და მასთან დისკუსიის შემდეგ, გადაწყვიტეთ ერთობლივ პროექტზე გვემუშავა. ფულბრაიტის სამეცნიერო პროგრამა ერთობლივი პროექტის განხორციელებისთვის უნიკალური საშუალება იქნებოდა და მეც მოსინჯე ჩემი ძალები. ფულბრაიტის პროგრამაში გამარჯვებამდე რამდენიმე ეტაპი გასავლელი და ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლას დიდი ძალადუბრებით ველოდი, ვინაიდან ჩემთან ერთად სხვადასხვა სპეციალობის ბევრი დიპლომი მეცნიერი იღებდა მონაწილეობას და გამარჯვებული კი მხოლოდ რამდენიმე უნდა ყოფილიყო... ვამზიგონის ოფისიდან მიღებულმა დადებითმა პასუხმა ძალიან გამახარა. ფულბრაიტის პროგრამა ითვლება ამერიკის

მთავრობის ყველაზე ავტორიტეტულ პროგრამად საერთაშორისო აკადემიური გაცვლელის სფეროში. ძალიან მიხარია, რომ წლები ვანდელ კონკურსში გამარჯვებულთა შორის მეც მოხვდი. ფულბრაიტის სტაჟინგია მნიშვნელოვანი დამხმარება მაღალი ღირსის სამეცნიერო კვლევის განხორციელებაში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის ბაზაზე. პროექტი ინოვაციურია და ეხება ინტერდისციპლინარული მეთოდებით ცოცხალ უჯრედებში ბიოაქტიური მოლეკულების იდენტიფიკაციას, რაც ბიო-ქიმიურ კვლევებში ძალიან მნიშვნელოვანია.“

მეცნიერს იმედი აქვს რომ მისი გამოცდილება ძალიან დაეხმარება პროფესორ შარისონთან ერთობლივი პროექტის წარმატებით განხორციელებაში და აღნიშნულ ფაქტს განამტკიცებს უნივერსიტეტის შორის დაწყებულ თანამშრომლობასაც.

შეგახსენებთ, რომ უმაღლესი განათლების პროგრამის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისაგან შემდგარი კონსორციუმსა-

ქართველობაში საბაკალავრო პროგრამებს განხორციელებს. აღნიშნული უნიკალური საგანმანათლებლო პროექტის შედეგად, კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში. პროექტის ბიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარია.

პროექტი ხორციელდება საქართველოსა და აშშ-ის შორის 2013 წელს ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს მოგადა, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში პროექტების განხორციელებას.

საბაკალავრო პროგრამების განხორციელება წლებიანდელი წლიდან დაიწყო, კერძოდ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელებული ქვეყნული ინჟინერიის, ქიმიის (ბიოქიმიის მიმართულებით) და კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამები;

# აკადემიური თანამშრომლობა თსუ-სა და ტრომსოს უნივერსიტეტს შორის

თსუ მედიცინის ფაკულტეტებზე დასრულდა ნორვეგიული ფონდის „განათლების საქართველოს თანამშრომლობის ცენტრის“ (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტი „სადოქტორო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში: სწავლების მესამე ციკლის ნორვეგიული გამოცდილება საქართველოსთვის“ (პროექტი CPEA-2012/10040).

პროექტს, რომელიც 2012 წლიდან ამოქმედდა, კოორდინირებს უწყვედად გრომოსის უნივერსიტეტი (პროფესორები: გორალფ პასივოლი, ბარდ ეკელი და სხვა). საქართველოდან მის განხორციელებაში ჩართული იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (პროფესორები: ალექსანდრე ცისკარიძე, პაპაე იმნაძე, ნინო ჩიხლაძე და სხვა) და საქართველოს უნივერსიტეტი.

პროექტის მიზანი მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების, გრომოსის უნივერსიტეტის გამოცდილების გათვალისწინებით, ბოლონის პრო-

ცესებთან პარტნიორობა იყო. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი სასწავლო კურსები, აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და სემინარები ნორვეგიასა და საქართველოში. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტებმა წარმატებით დაასრულეს გრომოსის უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო სწავლებისათვის განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო კურსები. მათი სამეცნიერო კვლევის პროცესს მდგრადი მხარდაჭერა, ქართველ ხელმძღვანელებთან ერთად, გრომოსის უნივერსიტეტის პროფესორები უწყვეტდნენ. სტუდენტთა კვლევის შედეგები შუალედურ და შეხვედრებულ კონფერენციებზე ქართველმა და ნორვეგიელმა პროფესორებმა ორჯერ მოიხილეს.

პროექტის შედეგები გასულ წელს ლიბანში (შვეიცარია) წარდგენილი იყო მეპირი და სასტენდო მოხსენების სახით „სადოქტორო პროგრამების მოდერნიზაცია“ (SIU)-ს პროექტის ფარგლებში გრომოსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გზით: თსუ-სა და სუ-ს გამოცდი-

ლება“. 2015 წელს გამოქვეყნდა სახელმძღვანელო საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და თითხ ერთობლივი სამეცნიერო სტაგია. მათ შორის ერთ-ერთში: „სადოქტორო განათლება და კვლევა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე საერთაშორისო თანამშრომლობის განზომილებებში“, ასახულია პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა როგორც სამედიცინო მეცნიერებისათვის, ისე პაციენტებისა და მოვალეად საზოგადოებისათვის.

პროექტის საბოლოო ანგარიშში, რომელიც SIU-ს გაფართოებულ სხდომაზე წელს მაისში თსუ-ში იყო წარდგენილი, ნორვეგიული კოლეგების მიწოდება და იმსახურა.

პროექტის ფარგლებში ბოლო სამუშაო შეხვედრა 11-13 ივნისის ნორვეგიაში გაიმართა. შეხვედრაზე, გრომოსის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობა გაფორმდა და მომავალი თანამშრომლობის სფეროები დაისახა.